ჟურნალისტთა უსაფრთხოება საპროტესტო აქციების გაშუქებისას

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

ღია საზოგადოების ფონდი

პროგრამა ხორციელდება "ღია საზოგადოების ფონდის" მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და ისინი შეიძლება არ გამოხატავდეს OSGF-ის მოსაზრებებს.

შესავალი

საპროტესტო აქციებისა და დემონსტრაციების დროს სამართალდამცავების მიერ ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლისა და მათზე ძალის გამოყენების შემთხვევები საქართველოში რამდენიმე ათწლეულს ითვლის. თუმცა, აღნიშნულმა პრაქტიკამ განსაკუთრებით მასშტაბური სახე 2007 წლის 7 ნოემბერსა[1] და 2011 წლის 26 მაისს[2] ანტი-სამთავრობო აქციების დარბევისას მიიღო. აღნიშნული მოვლენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, 2019 წლის 21 მაისს, 40-მდე ჟურნალისტი და მედიის წარმომადგენელი დაშავდა თბილისში, პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციების დარბევისას[3]. 2020 წლის 8 ნოემბერს ცესკოსთან გამართულ აქციაზე დაზიანდა არაერთი ჟურნალისტი და ოპერატორი.[4]

ჟურნალისტების, ფოტოგრაფებისა და ოპერატორებისადმი სამართალდამცავთა მხრიდან ძალადობის მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ხშირია ისეთ არასრული დემოკრატიის თუ არადემოკრატიულ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი, ბელორუსია, თურქეთი ან ჩინეთი. აღნიშნულ ქვეყნებში ხშირია ჟურნალისტების წინააღმდეგ თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევებიც. საპროტესტო აქციების დროს ჟურნალისტებისადმი მტრული დამოკიდებულების მაგალითები მრავლად მოიძებნება განვითარებული დემოკრატიის, მათ შორის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებშიც. თუმცა, განსხვავება აღნიშნული ორი ტიპის სახელმწიფოებს შორის, როგორც წესი, მომხდარ შემთხვევებზე ქვეყნების შემდგომ რეაგირებაში გამოიხატება ხოლმე.

ამ დოკუმენტის მიზანია, რომ მოკლედ მიმოიხილოს საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც იცავს ჟურნალისტებსა და მათ საქმიანობას საპროტესტო გამოსვლების დროს ნებისმიერი ტიპის აგრესიისა და სამუშაოს შესრულებისას ხელშეშლისაგან. გარდა საკანონმდებლო მიმოხილვისა, დოკუმენტი აღწერს ორ დასავლეთ ევროპულ ქვეყანაში, (საფრანგეთსა და ესპანეთში) საპროტესტო აქციების დროს, ჟურნალისტებზე მომხდარი ძალადობის და მათთვის მუშაობაში ხელის შეშლის ფაქტებზე საერთაშორისო

---

[1] „ჟურნალისტებიც ტირიან“, ნინო თარხნიშვილი, Humanrights.ge http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=6856&lang=geo

[2] 26 მაისს დაშავებული ჟურნალისტები, სტუდია მონიტორი, https://youtu.be/C46JW2mzAnU

[3] 38 დაშავებული მედიის წარმომადგენელი და ჟურნალისტების აქცია თბილისსა და საქართველოს 12 ქალაქში, მედიაჩეკერი - https://bit.ly/2qbhoJp

[4] https://bit.ly/3wzzi5S

თანამეგობრობისა და ქვეყნის ხელისუფლებების რეაგირებას. დოკუმენტის ბოლოს კი, განხილულია ორი საქმე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან. ამ საქმეებიდან ერთ-ერთში სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს ბრალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება) დარღვევაში, ხოლო მეორეში - არა.

შეზღუდული ფორმატიდან გამომდინარე, დოკუმენტი სიღრმისეულად ვერ განიხილავს საკანონმდებლო დეტალებს. ასევე, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, რომ გააკეთოს ზოგადი დასკვნები, რომლებიც შესაძლოა რომელიმე რეგიონზე ცალსახად გავრცელდეს. ნაცვლად ამისა, წინამდებარე მიმოხილვის მიზანია, რომ შექმნას ზოგადი წარმოდგენა დემოკრატიულ ქვეყნებში საპროტესტო აქციების დროს ჟურნალისტების საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის არსებულ საკანონმდებლო გარანტიებზე და იმაზე თუ როგორ რეაგირებენ ეს ქვეყნები მედიასთან მიმართებაში სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადაჭარბების შემთხვევებზე.

საპროტესტო აქციების დროს ჟურნალისტთა უსაფრთხოების ევროპული სტანდარტი

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო) აკეთებს ჟურნალისტთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული საერთაშორისო თუ რეგიონული მასშტაბით მოქმედი დოკუმენტების ზოგად და არასრულ ჩამონათვალს. აქედან აღსანიშნავია 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის მე-19 მუხლიც აწესებს ზოგად ჩარჩოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისათვის, მათ შორის, მედიის წარმომადგენლებისათვისაც:

> „ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები ყოველგვარი საშუალებით, მიუხედავად საზღვრებისა.“[5]

[5] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია https://bit.ly/2sAeGOp

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გამოთქმულ მოსაზრებას ერთგვარად ავსებს და განავრცობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მეორე ნაწილი, სადაც გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით აღნიშნულია:

> „ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“[6]

გარდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო კანონმდებლობისა, იუნესკო მიუთითებს კონკრეტულ დეკლარაციებზე, გადაწყვეტილებებსა თუ რეზოლუციებზე, რომელიც განამტკიცებს ჟურნალისტთა უფლებას, რომ თავიანთი პროფესიული მოვალეობა შეასრულონ ყოველგვარი შეფერხებისა და ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური საფრთხისაგან თავისუფალ გარემოში.

2012 წელს, მსოფლიო პრესის დამოუკიდებლობის დღეს UNESCO-ს ეგიდით მოწყობილ კონფერენციაზე სპეციალური დოკუმენტი შემუშავდა. ეს დოკუმენტი კართაგენის დეკლარაციის სახელითაა ცნობილი და იმ დროისათვის ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე „არაბული გაზაფხულის“ კონტექსტში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა საფრთხეებზე, რომელთა წინაშეც ჟურნალისტები დგანან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. კართაგენის დეკლარაციაში, UNESCO წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებდა, რომ გაიღონ სათანადო ძალისხმევა „უსაფრთხოებაზე ზედამხედველი სამსახურების წარმომადგენლების

[6] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია https://bit.ly/2P0ZbGO

გასაწვრთნელად მედიაში დასაქმებულებთან სათანადო მოპყრობისათვის, განსაკუთრებით მშვიდობიანი დემონსტრაციებისა და სამოქალაქო პროტესტისას.“[7]

თუმცა, ზემოთ ნახსენები დოკუმენტები უფრო ზოგად სურათს ქმნიან, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისა და ჟურნალისტთა საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების თვალსაზრისით. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) და ევროპის საბჭო კი კრიზისული სიტუაციების, კერძოდ აქციებისა და დემონსტრაციების დროს ჟურნალისტთა უსაფრთხოებასთან და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებასთან დაკავშირებით უფრო კონკრეტულ მითითებებს იძლევიან სხვადასხვა სახელმძღვანელოსა თუ ოფიციალურ დოკუმენტში.

მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების შესახებ გამოცემულ სახელმძღვანელოში ეუთო განმარტავს, თუ რა როლი ეკისრება მედიას დემოკრატიულ საზოგადოებებში მოქალაქეთა მხრიდან პროტესტის გამოხატვის აღნიშნული ფორმით სარგებლობისას. სახელმძღვანელო ხაზს უსვამს მედიის როგორც ე.წ „მოდარაჯე ძაღლის“ როლს, რომელიც ინფორმაციისა და იდეების გავრცელების მეშვეობით ხელს უწყობს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერებას როგორც შეკრების ორგანიზატორების, ასევე სამართალდამცავი უწყებების კონტექსტში. „მედიის წარმომადგენლებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ მაქსიმალური წვდომა როგორ თავად შეკრებაზე, ასევე მასთან დაკავშირებულ საპოლიციო ქმედებებზე,“- აღნიშნავს ეუთოს სახელმძღვანელო.[8]

აღნიშნული სახელმძღვანელო ასევე განსაკუთრებით უსვამს ხაზს მედიის როგორც შეკრებაზე დამკვირვებლის როლს. შეკრებაზე დაკვირვების უფლება კი პირდაპირ კავშირშია უფრო ფართო გამოხატვის თავისუფლებასთან, რომელიც თავის თავში მოიცავს ინფორმაციის თავისუფლად მოძიებისა და გადაცემის საკითხებს. ამდენად, საპროტესტო აქციებისა და დემონსტრაციების დროს მედიის წარმომადგენლებისთვის (როგორც ჟურნალისტების, ასევე ოპერატორებისა და ფოტოგრაფების შემთხვევაში) უსაფრთხოების გარანტიების არსებობა განსაკურებულად მნიშვნელოვანია.

---

[7] The Carthage Declaration, 2012, UNESCO - https://bit.ly/2OGftpI
[8] Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, 2010, OSCE - https://www.osce.org/odihr/73405

ამასთან დაკავშირებით, მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებში ეუთოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ "დემონსტრაციების გაშუქება ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე, ზუსტად ისევე არის თავისუფალი შეკრების უფლების განუყოფელი ნაწილი, როგორც თავად დემონსტრაცია წარმოადგენს სიტყვის თავისუფლებით სარგებლობის მაგალითს." მიკლომ ჰარაზციმ ეს შეფასება 2007 წელს გამოცემულ სპეციალურ ანგარიშში გააკეთა, რომელიც პოლიტიკური დემონსტრაციების დროს მედიასთან მოპყრობის საკითხებს ეხება.[9]

აღნიშნული ანგარიში გახლავთ პასუხი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სამართალდამცავთა მხრიდან დემონსტრაციების დროს ჟურნალისტებისადმი უხეში მოპყრობის გახშირებულ შემთხვევებზე. ანგარიში, ერთი მხრივ, ყურადღებას ამახვილებს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების ვალდებულებაზე, შექმნან გარანტიები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისათვის, ამბების გაშუქებისას ჟურნალისტთა შეუფერხებელი მუშაობისათვის, მიუხედავად დემონსტრაციის ლეგალური სტატუსისა, ხოლო ძალადობის საფრთხის გამოჩენის შემთხვევაში, მისი მშვიდობიანად აღსაკვეთად. მეორე მხრივ, ანგარიში მითითებას აკეთებს მედიის წარმომადგენელთა პასუხისმგებლობაზე, რათა მათი იდენტიფიცირება იოლად იყოს შესაძლებელი, რათა არ გაამწვავონ სიტუაცია და თავად არ იქცნენ დემონსტრაციის მონაწილეებად (გვ.2).

ეუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში გასცემს რეკომენდაციებს ორივე მიმართულებით. იგი ხაზს უსვამს სამართალდამცავთა კონსტიტუციურ ვალდებულებას, რომ არ შეუშალონ ხელი ჟურნალისტებს ან არ აუკრძალონ მათ მუშაობა დემონსტრაციების მიმდინარეობისას. გარდა ამისა, ხაზგასმულია ზემდგომი ორგანოების ვალდებულება, რომ სათანადო ცოდნა მიაწოდონ ორგანოს ყველა თანამშრომელს ჟურნალისტებთან მოქცევის საკითხებზე. ეუთოს ანგარიში მიუთითებს, რომ პოლიციის მხრიდან ძალაუფლების გადაჭარბების შემთხვევაში, აუცილებელია საკითხის განხილვა იმისგან დამოუკიდებლად, სანქცირებული იყო პროტესტი თუ არა. ჟურნალისტთა უფლებების დარღვევაზე "სწრაფი და ადეკვატური პასუხი პოლიციის ზემდგომი ორგანოების მიერ წარმოადგენს გარანტიას, რომ ძალის გადამეტებას არ ექნება განმეორებითი ხასიათი და

[9] Special Report Handling of the media during political demonstrations Observations and Recommendations, 2007, https://www.osce.org/fom/25744

იქნება მნიშვნელოვანი სიგნალი იმის საჩვენებლად, რომ მსგავსი ქმედების შეწყნარება არ მოხდება,“- აღნიშნულია ანგარიშში.

რეკომენდაციები აქცენტს აკეთებს იმაზეც, რომ არასანქცირებული დემონსტრაციების დროსაც კი, ჟურნალისტებმა უნდა ისარგებლონ იმავე პრივილეგიებით, რომელიც მათ შესაძლოა მიეცეთ სანქცირებული მიტინგების მიმდინარეობისას. ნებისმიერ შემთხვევაში, სამართალდამცავებს კანონით აქვთ აკრძალული ჟურნალისტური ტექნიკის დაზიანება, ჩამორთმევა ან გადაღებული მასალის კონფისკაცია. ხოლო აღნიშნული უფლებამოსილების გადაჭარბების გამოვლინება უნდა ჩაითვალოს ჟურნალისტისათვის საქმიანობაში ხელის შეშლად და ცენზურის დაწესების მცდელობად.

ამავე კონტექსტში მნიშვნელოვანი ტერმინია „დიფერენცირება“. ეუთოს სპეციალური ანგარიში აღნიშნავს, რომ სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ კონსტიტუციური ვალდებულება არ შეზღუდონ ჟურნალისტების საქმიანობა საჯარო დემონსტრაციებისას და მოახდინონ მათი დიფერენცირება უშალო დემონსტრანტებისგან, განსაკუთრებით ძალის გამოყენების შემთხვევაში. ჟურნალისტებს აქვთ უფლება ჰქონდეთ მოლოდინი, რომ პოლიციის მხრიდან სამართლიან და არაშემზღუდავ ქცევას დაექვემდებარებიან.

რაც შეეხება ჟურნალისტებისათვის გაცემულ რეკომენდაციებს, ეუთოს მიერ მომზადებული ანგარიში ჟურნალისტებს მოუწოდებს, რომ არ იქცნენ აქციის მონაწილეებად და ყოველთვის მოახდინონ თავიანთი თავების ჟურნალისტებად ცხადად იდენტიფიცირება. ანგარიშში ნათქვამია, რომ „როგორც სამართალდამცავებმა, ისე მედიის წარმომადგენლებმა უნდა იმოქმედონ ქცევის კოდექსის ფარგლებში, რომელზეც სათანადო ყურადღება უნდა გაამახვილონ პოლიციის მაღალი თანამდებობის პირებმა და მთავარმა რედაქტორებმა,“ - აღნიშნავს ანგარიში.

მედიის გადამწყვეტ როლზე ამახვილებს ყურადღებას ევროპის საბჭოც დემონსტრაციებისა და მშვიდობიანი შეკრებების შესახებ საუბრისას. ორგანიზაციის შეფასებით, ინფორმაცია დემონსტრაციების მიმდინარეობისა თუ სახელმწიფოს მხრიდან საპასუხო ქმედებების შესახებ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის საგანია. ეს კი მასმედიის როგორც ე.წ. „მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქციას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის, ვინაიდან მედიის

გამართული და შეუფერხებელი მუშაობა საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილებას.

„დემონსტრაციების ადგილიდან ჟურნალისტების ნებისმიერი ფორმით ჩამოცილების მცდელობა მკაცრი შესწავლის საგანად უნდა იქცეს,"- ვკითხულობთ ევროსაბჭოს მიერ 2018 წელს გამოცემულ ყოველწლიურ ცნობის ფურცელში.[10] ეს დოკუმენტი თავს უყრის ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებში ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე აღძრულ საქმეებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭომ 2015 წელს შექმნა სპეციალური პლატფორმა, რომელიც აფიქსირებს წევრი ქვეყნების მასშტაბით ჟურნალისტებზე მომხდარი თავდასხმის ფაქტებს. მათ შორის ხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჟურნალისტები ძალადობის ობიექტები ხდებიან სამართალდამცავთა მხრიდან მშვიდობიანი შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს.[11]

სწორედ აღნიშნული პლატფორმის ფარგლებში მზადდება ყოველწლიური ცნობის ფურცელი, რომელიც გარდა საქმეთა აღრიცხვისა, ასევე ჩამოთვლის იმ დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ევროკავშირისა და ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში, დემონსტრაციებისა და მშვიდობიანი შეკრებების დროს, ჟურნალისტთა უსაფრთხოებისა და მათ საქმიანობაში ჩაურევლობის საკანონმდებლო ჩარჩოს. ზემოთ ნახსენებ, ეუთოს ეგიდით გამოცემულ სახელმძღვანელოსთან ერთად, ევროპის საბჭო უთითებს მშვიდობიანი შეკრების უფლების შესახებ ვენეციის კომისიის სახელმძღვანელო წესებზე (2010)[12], ევროკავშირის საბჭოს, ევროკავშირის ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო წესებზე ონლაინ და არა-ონლაინ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით (2014)[13], თავად ევროპის საბჭოს მინისტრთა

---

[10] Thematic factsheet, 2018, MEDIA COVERAGE OF PROTESTS AND DEMONSTRATIONS, https://bit.ly/2P5XSq7

[11] Platform to Promote the Protection of Journalism and Safety of Journalists, https://www.coe.int/en/web/media-freedom/home

[12] Venice Commission Guidelines On Freedom Of Peaceful Assembly (2nd Edition),2010, https://bit.ly/2RcGNgL

[13] EU Human Rights Guidelines on Freedom of Expression Online and Offline, 2014, https://bit.ly/37XVOc7

კომიტეტის მიერ მიღებულ რეკომენდაციებზე პოლიციის ეთიკის ევროპულ კოდექსთან დაკავშირებით (2001)[14] და ა.შ.

აღნიშნული დოკუმენტები ფართოდ მიმოიხილავენ როგორც გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე ამ საკითხების გადაკვეთის წერტილებს მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასთან. მაგალითად, ვენეციის კომისიის მიერ მიღებული დოკუმენტი უთითებს, რომ: „დაუშვებელია აქციის მონაწილეების ან სხვა, მესამე მხარის მიერ საპოლიციო ოპერაციის ფოტო და ვიდეო გადაღებისათვის ხელის შეშლა, ხოლო ფირზე ან ციფრულად ჩაწერილი სურათების თუ ჩანაწერების გადაცემის მოთხოვნა ძალოვანი უწყებების მიერ უნდა იქცეს წინასწარი სამართლებრივი შეფასების საგნად."

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2007 წელს მიღებული სახელმძღვანელო წესები კრიზისულ სიტუაციებში გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ჟურნალისტთა პირად უსაფრთხოებაზე საუბრისას, აღნიშნავს:[15]

> (2) წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ - როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო - მედიაში დასაქმებულთა უსაფრთხოება მაქსიმალურად. თუმცა, უსაფრთხოების გარანტიების აუცილებლობა წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიყენონ მედიაში დასაქმებულთა გადაადგილებისა და ინფორმაციაზე წვდომის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობად.
>
> (8) კრიზისულ სიტუაციებში წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ მედიაში დასაქმებულთა გადაადგილებისა და ინფორმაციაზე წვდომის თავისუფლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კრიზისული სიტუაციის მართვაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა უნდა მისცენ კრიზისის ადგილზე წვდომა მედიაორგანიზაციების მიერ აკრედიტირებულ თანამშრომლებს.

ცხადია, აქ მოტანილი საკანონმდებლო მიმოხილვა არ ამოწურავს ყველა იმ დეტალს, რომელზეც ეუთო და ევროპის საბჭო საუბრობს მათი ეგიდით გამოცემულ

---

[14] Recommendation of the Committee of Ministers to member states on the European Code of Police Ethics, 2001, https://bit.ly/37XMgxO

[15] Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on protecting freedom of expression and information in times of crisis, 2007, https://bit.ly/2Y66q4h

სახელმძღვანელოებსა თუ რეკომენდაციებში მშვიდობიან შეკრებებსა და დემონსტრაციებზე ჟურნალისტთა უფლებებისა და უსაფრთხოების კონტექსტში. ამ მხრივ, როგორც აღინიშნა, განსაკუთრებით საყურადღებოა ევროპის საბჭოს მუშაობა, რომელიც სპეციალური პლატფორმის მეშვეობით 2015 წლიდან მოყოლებული რეგულარულად აღრიცხავს ჟურნალისტების მიმართ უფლებათა დარღვევის შემთხვევებს. მათ შორის ისეთ შემთხვევებს, როდესაც ამ უფლებათა შელახვა საპროტესტო აქციებზე სამართალდამცავთა მხრიდან ხდება. შემდეგ ქვეთავში საუბარი იქნება ჟურნალისტების უფლებათა დარღვევის რამდენიმე ასეთ შემთხვევაზე, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოხდა და რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპის საბჭოს ჟურნალისტიკის დაცვისა და ჟურნალისტთა უსაფრთხოების ხელშეწყობის პლატფორმაზე.

ჟურნალისტი როგორც სამიზნე: გამოწვევა ევროპისათვის

ცენზურის ინდექსი, დიდ ბრიტანეთში დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, 2018 წელს გამოცემულ კვლევაში[16] აღნიშნავს, რომ გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ნელ-ნელა იკვეთება საპროტესტო გამოსვლების დროს მედიის წარმომადგენლებზე როგორც პროტესტში მონაწილეების, ასევე სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გამოყენების შემთხვევების ზრდა. მართალია ორგანიზაცია სულ რამდენიმე წელია აკვირდება ასეთ შემთხვევებს და საუბარი ზოგად ტენდენციებზე რთულია, თუმცა როგორც ცენზურის ინდექსის ვებ-გვერდზე ვკითხულობთ, დაფიქსირებული შემთხვევები გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

„მედიის თავისუფლების რუკა“ გახლავთ ცენზურის ინდექსის ერთ-ერთი პროექტი, რომელიც 43 ქვეყანაში აღრიცხავს ჟურნალისტებზე მომხდარ თავდასხმებსა და სიტყვისა და გამოხატვის შეზღუდვისა თუ შეზღუდვის მცდელობის შემთხვევებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მონიტორებმა მხოლოდ 2018 წელს ევროკავშირის წევრ თუ მასთან აფილირებულ 35 ქვეყანაში ჟურნალისტებზე ძალის გამოყენების 203 შემთხვევა დააფიქსირეს, რომელთაგან 46 საფრანგეთში მოხდა, 33 ესპანეთში, 32 გერმანიაში, 15 კი რუმინეთში. კვლევის მიხედვით, ჟურნალისტებზე თავდასხმის შემთხვევები გაიზარდა მას შემდეგ, რაც ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ულტრა-მემარჯვენე და ნაციონალისტური ჯგუფები საჯარო სივრცეებში გამოჩნდნენ და გაძლიერდნენ. თუმცა, საკმაოდ მაღალია ისეთი შემთხვევების რიცხვი, როდესაც ჟურნალისტებზე თავდასხმის მონაწილეები სამართალდამცავები არიან. მაგალითად, 2018 წლის პირველი 9 თვის მანძილზე დაფიქსირებული 25 შემთხვევიდან 13-ში სამართალდამცავი მონაწილეობდა.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, მსგავს სტატისტიკას აწარმოებს ევროპის საბჭოს დაარსებული სპეციალური პლატფორმაც. აღნიშნული პლატფორმა შემთხვევებს მხოლოდ 2015 წლიდან მოყოლებული აღრიცხავს. ამის გამო ზოგად ტენდენციებზე ამ შემთხვევაშიც გართულდება საუბარი, თუმცა, შესაძლებელია გარკვეული წარმოდგენის შექმნა.

---

[16] Targeting the messenger: Journalists on the frontline of protests, Index of Censorship, 2018, https://bit.ly/2rJ6XND

ევროპის საბჭოს სტატისტიკით, წევრ ქვეყნებში მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმისა და მათი უფლებების დარღვევის შემთხვევები 2015 წლიდან მოყოლებული 110-დან 140-მდე მერყეობს. აღნიშნულ შემთხვევათა დიდი ნაწილი სახელმწიფოების მხრიდან უპასუხოდ რჩება, თუმცა, რიგ შემთხვევებში, სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ევროპის საბჭოში უწევთ განმარტების გაკეთება და იმის დემონსტრირება, რომ ეს ქვეყნები ჟურნალისტთა უსაფრთხო მუშაობისათვის საკმარის გარანტიებს ქმნიან. გარდა ამისა, პლატფორმა თავს უყრის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ჟურნალისტებისათვის მუშაობაში ხელის შეშლისა და ძალის გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

შემდგომ ქვეთავებში საუბარი იქნება ევროპის საბჭოს ჟურნალისტიკის დაცვისა და ჟურნალისტთა უსაფრთხოების ხელშეწყობის პლატფორმის მიერ აღრიცხული რამდენიმე ასეთი შემთხვევაზე. მათ შორის, საფრანგეთში მიმდინარე „ყვითელი ჟილეტების“ პროტესტზე, რომელიც გამოირჩეოდა ბოლო წლებში ჟურნალისტებისადმი სამართალდამცავთა და აქციის მონაწილეთა მხრიდან განსაკუთრებული აგრესიით. საუბარი იქნება ესპანეთში, კატალონიაში, 2019 წლის ოქტომბერში მიმდინარე დემონსტრაციებზეც, სადაც ჟურნალისტებისადმი მტრული დამოკიდებულების შემთხვევები აშკარა იყო. ასევე მოტანილი იქნება ორი საქმე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან, რომელთაგან ერთ შემთხვევაში ქვეყანა ჟურნალისტის უფლების დარღვევაში სცნეს დამნაშავედ, მეორე შემთხვევაში კი არა.

„ყვითელი ჟილეტების“ პროტესტი საფრანგეთში

“ყვითელი ჟილეტების“ მოძრაობა, რომელიც საფრანგეთში 2018 წლის ოქტომბერში დაიწყო საწვავის გადასახადისა და ფასების ზრდის, უფრო ზოგადად კი ე.წ. ქამრების შემოჭერის პოლიტიკის გასაპროტესტებლად, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბოლო წლებში ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ჟურნალისტებისადმი გამოჩენილი აგრესიით. ჟურნალისტები საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში აგრესიის ობიექტები ხდებოდნენ როგორც პროტესტის მონაწილეების, ასევე სამართალდამცავთა მხრიდან. საპროტესტო აქციებზე, რომლებიც პერიოდულად მწვავდებოდა, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ძალა ხშირად არ ახდენდა

პროტესტის მონაწილეებისა და ჟურნალისტების დიფერენცირებას, მიუხედავად იმისა, რომ მედიის წარმომადგენლები უმეტესად აშკარად იდენტიფიცირებადები იყვნენ. ორგანიზაციის *რეპორტიორები საზღვრების გარეშე* შეფასებით „ყვითელი ჟილეტების“ საპროტესტო აქციების დროს, საერთო ჯამში, 54 ჟურნალისტი დაშავდა, პოლიციასა და მედიის წარმომადგენლებს შორის კი 120-ზე მეტი ინციდენტი მოხდა პროტესტის დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში. [17]

ჟურნალისტების დაშავების მასობრივი შემთხვევები პირველად 2018 წლის 8 დეკემბერს დაფიქსირდა. 15 ფოტოგრაფი და ჟურნალისტი დაშავდა დამიზნებით ნასროლი შაშხანებისა და რეზინის საფანტი ტყვიების გამოყენების გამო, მიუხედავად იმისა რომ ისინი მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს ატარებდნენ. დაშავებულებს შორის იყვნენ "Le Parisien-Aujourd'hui en France"-ის, აუდიო ახალი ამბების A2PRL-ის, AFP-ის, Libération-ის, Reuters-ისა და ა.შ. თანამშრომლები. ჟურნალისტებისადმი ძალადობა აქციების დაწყების პირველივე დღეებიდან აღინიშნებოდა, თუმცა სამართალდამცავთა მხრიდან მედიის წარმომადგენლებისადმი ძალის გამოყენების შემთხვევები ამით არ შემოფარგლულა. მაგალითად, ორი ჟურნალისტი დააკავა პოლიციამ 2019 წლის 26 აპრილს, ხოლო პროტესტის დაწყებიდან 1 წლის თავზეც კი, თარიღის აღნიშვნის მიზნით გამართულ აქციაზე პოლიციასთან შელაპარაკება მოუხდა რამდენიმე ჟურნალისტს. [18].[19]

ფრანგი სამართალდამცველების მხრიდან ძალის უხეშ დემონსტრირებაზე განცხადებები გაავრცელეს როგორც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და პროფკავშირებმა, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებმა და დამკვირვებლებმა. პოლიციისა და დემონსტრანტების მხრიდან მედიის წარმომადგენლებზე გამოვლენილ ძალადობაზე წერდნენ ორგანიზაციები CPJ და *რეპორტიორები საზღვრებს გარეშე.* უნდა აღინიშნოს, რომ დემონსტრაციების მიმდინარეობისას სამართალდამცავების გარდა, ჟურნალისტებისადმი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ თავად საპროტესტო აქციების მონაწილეებიც.

---

[17] Yellow Vests: one year on, RSF proposals for ensuring journalists' safety at protests in France, Reporters Without Borders, 2019 https://rsf.org/en/news/yellow-vests-one-year-rsf-proposals-ensuring-journalists-safety-protests-france

[18] Repeated Police Violence Against Journalists Covering Protests, COE, https://bit.ly/2rF4YK5

[19] Repeated Attacks on Journalists by the 'Yellow Vest' Protestors, COE, https://bit.ly/33zMqIB

2019 წლის დასაწყისში, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა საფრანგეთის მთავრობას რეკომენდაციებით მიმართა, რომელშიც ის საფრანგეთის ხელისუფლებას მოუწოდებდა, რომ აღესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა ჟურნალისტთა უსაფრთხოების დაცვის კუთხით. „ნებისმიერი თავდასხმა ჟურნალისტებზე, რომლებიც უბრალოდ თავიანთ საქმეს აკეთებენ, არის თავდასხმა დემოკრატიაზე. გამოხატვისა და დემონსტრაციის გამართვის უფლება ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდება ასეთი ძალადობისა და სიძულვილის ამოფრქვევის გამართლების საბაბი," - აღნიშნა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა „ყვითელი ჟილეტების" საპროტესტო აქციების დროს დემონსტრანტთა მხრიდან ჟურნალისტებზე განხორციელებულ ძალადობაზე კომენტირებისას. [20]

ჟურნალისტებზე ძალის გამოყენების საკითხი მწვავედ დააყენა პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან და შინაგან საქმეთა მინისტრ კრისტოფ კასტანერთან შეხვედრაზე ორგანიზაციის *რეპორტიორები საზღვრების გარეშე* გენერალურმა მდივანმა კრისტოფ დელიორმა.

ყვითელი ჟილეტების საპროტესტო გამოსვლებისას ჟურნალისტებისათვის მიყენებულ ზიანსა და მათთვის მუშაობაში ხელის შეშლის ფაქტები მოხვდა მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის რეგულარულ ანგარიშშიც, სადაც საუბარი შეეხებოდა როგორც აქციის მონაწილეთა მიერ, ისე ოფიციალური ორგანოების მხრიდან ჟურნალისტებისადმი არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.

საერთაშორისო მოწოდებებსა და კრიტიკაზე საპასუხოდ, საფრანგეთის საპარლამენტო წარმომადგენლობამ ევროპის საბჭოში რამდენჯერმე გაავრცელა ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ გატარებულ ზომებთან დაკავშირებით. გამოძიება დაიწყო ჯერ კიდე 2018 წლის 17 ნოემბერს მომხდარ ინციდენტებზე.[21] ასევე ქალაქ ტულუზაში 24 ნოემბერს დაშავებული ხუთი ჟურნალისტის საქმეზე და ამავე დღეს ქალაქ ბეზიერში მომხდარ შემთხვევაზე. საქმე აღიძრა C L'Info Pau-ის, ტელეკომპანია LCI-ისა და Dépêche du Midi-ის ჟურნალისტების შემთხვევებზე.

---

[20] Maintaining public order and freedom of assembly in the context of the "yellow vest" movement: recommendations by the Council of Europe Commissioner for Human Rights https://bit.ly/2OXMEUw

[21] A/s : Réponse à l'alerte du 26 novembre, mise à jour le 15 janvier, de la Plateforme pour la protection du journalisme et la sécurité des journalistes du Conseil de l'Europe https://bit.ly/2qU901l

[22]გარდა ამისა, ევროპის საბჭოში საფრანგეთის წარმომადგენლობამ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ 2018 წლის დეკემბერში მომხდარი მოვლენების შემდეგ, ეროვნული პოლიციის გენერალურმა ინსპექციამ შექმნა სპეციალური პლატფორმა, სადაც შესაძლებელი იყო ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის შესახებ ინფორმაციის გამარტივებულად მიწოდება სამართალდამცავებისათვის. მათი ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეებზე გამოძიება და სამართალდამცავთა სამხრე კამერების ჩანაწერების შესწავლა აქტიურად მიმდინარეობდა.

კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეთა აქციები ესპანეთში

2019 წლის 14 ოქტომბერს საპროტესტო გამოსვლები დაიწყო ესპანეთში, კატალონიის დედაქალაქ ბარსელონაში. პროტესტი კატალონიის ესპანეთისაგან გამოყოფისათვის 2017 წელს დაწყებული საპროტესტო აქციების 9 ლიდერისათვის სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდებას მოჰყვა. მალევე შეტაკებები მოხდა ქუჩაში გამოსულ მოსახლეობასა და ესპანეთის ცენტრალური პოლიციას და კატალონიის ავტონომიურ საპოლიციო ძალებს შორის. შეტაკებების დროს მასობრივად დაშავდნენ ჟურნალისტებიც.[23] ესპანეთისა და კატალონიის საპოლიციო ძალებმა ჟურნალისტების წინააღმდეგ გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები. სამართალდამცავები ფიზიკურადაც გაუსწორდნენ მედიის რამდენიმე წარმომადგენელს. აქციის პირველ დღეს 12 ჟურნალისტის დაშავების შესახებ გავრცელდა ცნობა, თუმცა რამდენიმე დღეში 59 ასეთი შემთხვევის შესახებ გახდა ცნობილი.[24] Media.cat-ის ინფორმაციით კი დაშავებულთა რიცხვი 65-ს აღწევდა, თუმცა მედიის რამდენიმე წარმომადგენლის იდენტიფიცირება ვერ მოხდა. [25]

როგორც ევროპის საბჭოს სპეციალურად შექმნილ პლატფორმაზეა აღნიშნული, შემთხვევათა უმეტესობაში, ჟურნალისტები მკაფიოდ იდენტიფიცირებადნი იყვნენ. მათ შორის დაშავდნენ

---

[22] A/s : Réponse à l'alerte du 11 décembre de la Plateforme pour la protection du journalisme et la sécurité des journalistes du Conseil de l'Europe dans le cadre des manifestations « Gilets jaunes » https://bit.ly/2OFY1l3

[23] Journalists covering Catalonia demonstrations attacked, harassed by police, protesters, CPJ, https://cpj.org/2019/10/journalists-covering-catalonia-demonstrations-atta.php

[24] Twelve Journalists Victims of Violence on the Sidelines of Demonstrations in Catalonia, COE, https://bit.ly/2P5sAPV

[25] SPAIN: At least 20 journalists injured and 1 arrested during night of demonstrations in Catalonia, Civic Space Watch, https://bit.ly/2svHDuF

Contexto-ს, რადიო RAC 1-ის, eldiario.es-ის, ჟურნალ La Directa-ს, TV3-ის, Elprat TV-ისა და კატალონიის რადიოს თანამშრომლები. გარდა ჟურნალისტებისა, დაშავებულებს შორის იყვნენ ფოტოგრაფები და უშტატო ჟურნალისტებიც (ე.წ. freelancer-ები). მედიის ზოგიერთ წარმომადგენელს თავს დაესხნენ ბოთლებით, რის შედეგადაც მათ სერიოზული ფიზიკური დაზიანებები მიიღეს. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ აქციის რადიკალურად მემარჯვენედ განწყობილი მონაწილეები თავს დაესხნენ Cuatro TV-ის გადამღებ ჯგუფს.

კატალონიაში მომხდარ თავდასხმებს გამოეხმაურნენ ადგილობრივი პროფესიული ორგანიზაციები. განცხადებები გაავრცელეს რეგიონში მომუშავე უმსხვილესმა პროფკავშირებმა FSC-CCOO-მ და SPC-იმ. ესპანეთისა და კატალონიის ხელისუფლებებს ჟურნალისტების უსაფრთხოებისა და მუშაობაში ხელის შეშლის თავიდან არიდებისაკენ მოუწოდა ეუთოს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში. ჰარლემ დესირმა ესპანეთს ხელისუფლებას შეახსენა დემონსტრაციების დროს მედიასთან ურთიერთობასთან დაკავშირებით ეუთოს სპეციალური ანგარიშის რეკომენდაციაც: „სამართალდამცავებს აკისრიათ კონსტიტუციური ვალდებულება არ შეუშალონ ხელი და არ გაუწიონ წინააღმდეგობა საჯარო შეკრებების დროს მომუშავე ჟურნალისტებს, ხოლო ჟურნალისტებს აქვთ უფლება, რომ პოლიციის მხრიდან სამართლიან და ზომიერ მოპყრობას ელოდონ.“[26]

განცხადება გაავრცელა ევროპის საბჭოს კომისარმა ადამიანის უფლებების საკითხებში დუნია მიიატოვიჩმა, სადაც ის აღნიშნავდა: „მიმდინარე დაძაბულ სიტუაციაში, გამოხატვის თავისუფლებისადმი პატივისცემა, რაც გულისმობს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას, უმნიშვნელოვანესია. ამიტომაც, მოვუწოდებ ესპანეთის ხელისუფლებას, გამოიძიონ ჟურნალისტებზე თავდასხმის ყველა დაფიქსირებული შემთხვევა, მათ შორის გასულ კვირას მომხდარი, როგორც პოლიციის ოფიცერთა, ასევე დემონსტრაციის მონაწილეთა მხრიდან. ასევე, აუცილებელია გარკვეული ზომების გატარება დემონსტრაციების დროს ყველა ჟურნალისტის უსაფრთხოების დასაცავად.“[27]

---

[26] Protection of the rights to freedom of expression and peaceful assembly during last week's demonstrations in Catalonia, COE, https://bit.ly/2qTPMsJ

[27] OSCE Representative concerned by attacks against journalists during demonstrations in Spain, calls for protection of journalists covering protests, OSCE, https://www.osce.org/representative-on-freedom-of-media/436550

ესპანეთის მუდმივი წარმომადგენლობა ევროპის საბჭოში მალევე გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ესპანეთის მთავრობა მოწოდებულია, რომ დაიცვას ადამიანის უფლებები, აღასრულოს კანონი და უზრუნველყოს ჟურნალისტთა უსაფრთხო მუშაობა. რამდენიმე დღეში კი ქვეყნის წარმომადგენლობამ დამატებითი ინფორმაცია გაავრცელა კატალონიაში მიმდინარე მოვლენებზე და აღნიშნა, რომ 25 ოქტომბრის მონაცემებით ესპანეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურებსა და საპოლიციო დანაყოფებში არ შესულა განცხადებები ჟურნალისტების დაშავების შესახებ. თუმცა, ესპანეთის მუდმივმა წარმომადგენლობამ აღნიშნა, რომ ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებს უკვე გადაეგზავნათ ინფორმაცია ევროპის საბჭოს პლატფორმაზე დაფიქსირებული შემთხვევების შესახებ სათანადო რეაგირების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ამის მიზეზი შესაძლოა ჟურნალისტების მიერ საჩივრების ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე შეტანა იყოს. ესპანეთი, როგორც დეცენტრალიზებული სახელმწიფო, ადამიანთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე აგვარებს. ქვეყნის წარმომადგენლობის თქმით, მათ ჯერ-ჯერობით არ მიუღიათ სათანადო ინფორმაცია კატალონიის ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ჟურნალისტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ქვეყანამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ის მზად არის გამოიძიოს ჟურნალისტების მუშაობაში ხელის შეშლის ფაქტები და მოახდინოს კანონისმიერი რეაგირება.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ განხილული რელევანტური საქმეები

პენტიკაინენი v. ფინეთი

2006 წლის სექტემბერში, ფინეთში დაგეგმილ აზია-ევროპის შეხვედრას საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა დედაქალაქ ჰელსინკიში. მას შემდეგ რაც საპროტესტო დემონსტრაცია ძალადობრივი გახდა, პოლიციამ აქციის დაშლის გადაწყვეტილება მიიღო. დემონსტრაციას გასაშუქებლად ესწრებოდა ჟურნალ Suomen Kuvalehti-ის ფოტოგრაფი მარტინ პენტიკაინენი. მას შემდეგ, რაც პოლიციამ გამოაცხადა ცნობა აქციის დაშლის შესახებ, დემონსტრანტთა დიდმა ნაწილმა დატოვა პროტესტი, ხოლო ადგილზე 20-მდე ადამიანი დარჩა. მათ შორის იყო პენტიკაინენიც. ფოტოგრაფმა მიიჩნია, რომ აქციის დაშლის მოწოდება მას როგორც ჟურნალისტს არ ეხებოდა. მცირე ხანში პოლიციამ პროტესტის დარჩენილი მონაწილეთა დაკავება დაიწყო. მიუხედავად იმისა რომ ფოტოგრაფმა სამართალდამცავებს თავისი პერესის მოწმობა წარუდგინა, ისიც სხვა დემონსტრანტებთან ერთად დააკავეს პოლიციის ბრძანების დაუმორჩილებლობის გამო. ფოტოგრაფი პატიმრობაში დატოვეს დაახლოებით 18 საათის განმავლობაში, მოგვიანებით კი პროკურორმა ბრალიც წარუდგინა. ფინეთის სასამართლომ იგი გაამტყუნა, თუმცა მისთვის სასჯელი არ მიუსჯია, რადგან მისი თავის მართლება საპატიოდ ჩათვალა.[28]

პენტიკაინენმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში კონვენციის მე-10 (გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების) მუხლის დარღვევაზე იჩივლა. თუმცა, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნული მუხლის დარღვევა არ დაადგინა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ფინეთის ხელისუფლებამ თავისი გადაწყვეტილება რელევანტურ და საფუძვლიან მიზეზს დააყრდნო და მონახა სამართლიანი ბალანსი ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესებს შორის (საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისა და არეულობისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით). მოსამართლის გადაწყვეტილებით პოლიციას არ შეუშლია ხელი ფოტოგრაფისათვის თავისი საქმიანობის განხორციელებაში. კერძოდ, ის დააკავეს არა

[28] Finnish journalist's arrest, detention, prosecution and conviction for disobeying a police order during a demonstration does not violate Article 10, https://bit.ly/2R7CovC

ჟურნალისტური საქმიანობის, არამედ პოლიციის ბრძანების შეუსრულებლობის გამო, დაეტოვებინა დემონსტრაციის ადგილი.[29]

ჯიზელი v. შვეიცარია

აღნიშნულ საქმეში აპლიკანტი ასაჩივრებდა 2001 წელს დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე პოლიციის მიერ მისთვის დასწრების აკრძალვას. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის მოშველიებით, იგი ამტკიცებდა, რომ შვეიცარიის ხელისუფლებამ მას ინფორმაციის თავისუფლად მოპოვებასა და გავრცელებაში შეუშალა ხელი. ჟურნალისტი ფორუმში მონაწილეობას თავისი ერთ-ერთი სტატიისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად აპირებდა, რომელიც შეეხებოდა დავოსის ეკონომიკური ფორუმისა და მსგავსი ღონისძიებების გავლენას ადგილობრივ რესტორნებსა და სასტუმროებზე. ამავდროულად, პოლიციას ინფორმაცია ჰქონდა, რომ ფორუმის გასაპროტესტებლად ანტი-გლობალისტები აპირებდნენ არასანქცირებული დემონსტრაციის გამართვას. პოლიციამ უსაფრთხოების სხვადასხვა ზომა გაატარა, რათა თავიდან აერიდებინა პროტესტში მონაწილეთა მხრიდან ეკონომიკური ფორუმის სავარაუდო ჩაშლის მცდელობები. სწორედ აღნიშნული უსაფრთხოების ზომების გატარების ფარგლებში, პოლიციამ არ მისცა ჟურნალისტს საშუალება, რომ შეეღწია დავოსის ფორუმის ღონისძიებაზე. აპლიკანტმა ჯერ ადგილობრივ სასამართლოს მიმართა, რომელმაც საქმე დაუშვებლად სცნო. მოგვიანებით კი, მას შემდეგ რაც მისი სარჩელი არც ფედერალურ სასამართლოში განიხილეს, ჯიზელმა სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანა. [30]

სტრასბურგის სასამართლომ მოსარჩელე გაამართლა და შვეიცარიის ხელისუფლება მე-10 მულის დარღვევაში დამნაშავედ სცნო. სასამართლოს გადაწყვეტილებით აპლიკანტისათვის დაწესებული შეზღუდვისათვის არ არსებობდა ცხადი საკანონმდებლო საფუძველი. მოსამართლემ ხაზი გაუსვა, რომ პოლიციის მხრიდან კონკრეტული გათვლების გაკეთება მართლაც სირთულეს წარმოადგენდა, საიმისოდ რომ მათ აეწონ-დაეწონათ სიტუაციის სიმძიმე და ზუსტად შეეფასებინათ რისკები, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმს

---

[29] Thematic factsheet, 2018, MEDIA COVERAGE OF PROTESTS AND DEMONSTRATIONS, https://bit.ly/2P5XSq7

[30] Gsell v. Switzerland - 12675/05, Information Note on the Court's case-law No. 123, October, 2019 https://bit.ly/34CbXCg

ემუქრებოდა ანტი-გლობალისტების მხრიდან, რასაც შესაძლოა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა მოჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, სასამართლოს შეფასებით, ქვეყნის ხელისუფლებას უკვე უნდა სცოდნოდა თუ რა ტიპის სცენარით შეიძლებოდა განვითარებულიყო მოვლენები, რამდენადაც მსგავსი პროტესტის გამოცდილება უკვე არსებობდა. გარდა ამისა, სამართალდამცავებს არ მოუხდენიათ მშვიდობიანი მოქალაქეებისა და პოტენციურად მოძალადე ინდივიდების დიფერენცირება. შედეგად, აპლიკანტი ზოგადად დაწესებულ აკრძალვის ქვეშ მოხვდა. სტრასბურგის შეფასებით, იმ მოცემულობაში კონკრეტული ფაქტების გათვალისწინებით, ზოგადი საპოლიციო რეჟიმის დაწესება გამართლებული არ იყო. შესაბამისად, ქვეყანას ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაუდგინდა. [31]

[31] Thematic factsheet, 2018, MEDIA COVERAGE OF PROTESTS AND DEMONSTRATIONS, https://bit.ly/2P5XSq7